მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| | 1 წ. | 6 თ. | | 3 თ. | | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| თბილისში. | 5 | 2 | 50 | 1 | 25 | — | 50 |
| თბილ. გარ. | 6 | 3 | — | 2 | — | — | 60 |
| საზღ. გარ. | 10 | 5 | — | 3 | 50 | — | 1 |

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ადრესი: თავად-აზნაურობის სახლი, ძასახლის ქ., № 117.

შინაარსი:

1) ვინ არიან ხალხის მეგობრები. 2) ფელეტონი: ლექსი „მუშა“, ინტერნაციონალის წინამორბედნი. 3) ახალი ამბები. 4) რუსეთის ქრონიკა. 5) კორესპონდენცია. 6) დეპეშები.

№ 3 ხუთშაბათი 8 ივნისი 1906 წ. თბილისი № 3

რედაქცია სთხოვს ყოველგან ყველა ამხანაგებს, თანა-მოაზრეებს და იმათ, ვინც თანაუგრძნობს გაზეთის მიმართულებას, გაუწიოს ენერგიული დახმარება: ეკონომიური და იდეიური კოოპერაცია გაზეთის გამოცემის საქმეს: საღამოების გამართვით, სპექტაკლების დადგმით, და ხელის მოწერის გამართვით, რეფერატებით.

ვთხოვთ პროვინციაში გაფანტულ ამხანაგებს ხელი შეუწყონ გაზეთის გავრცელებას, მოგვაწოდონ წერილები და კორესპონდენციები.

**ვთხოვთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში ფულები ყოველ შაბათობით გვიგზავნონ თუ სურთ, რომ შემდეგისთვისაც მიიღონ გაზეთი.**

## ვინ, არიან ხალხის მეგობრები და ამხანაგები?

არამედ მწარმოებლის, მუშის, თავისუფლების და ნამდვილი სოციალიზმის—ანარხიზმის მომხრე და მეგობრები არიან ისინი,

ვინც ხედავს, რომ არ არის არავითარი წინააღმდეგობა პიროვნობის და საზოგადოებრივობის შორის, რომ წინააღმდეგ ამისა ხედავს, რომ „ჩვენ“ არის „მეს“ განვითარება გაფართოება, გაზრდა, რომ საზოგადოებრივობა, კომმუნიზმი, გარანტია და ხელის შემწყობი პირობა არის პიროვნების, განთავისუფლების, რომ საზოგადოებრივობა წინააღმდეგ სახელმწიფოებრივობისა არის თავისუფალ პიროვნებათა თავისუფალი ნებიერი კავშირი ნაკლები ძალების, ენერგიის ხარჯვით მეტ ნაყოფის მოსაპოებლად, როგორც საზრდოსაბადებელთა წარმოებაში, ისე პოლიტიკურ, გონებრივ და ესტეტიურ წარმოებაში; რომ ბიოლოგიურად დიფერენციაცია და ინტეგრაცია იგივეა, რაც სოციოლოგიურად ავტონომია და ფედერაცია, რომ ყველა დარგი ბუნების და მეცნიერების ეწინააღმდეგება ცენტრალიზმს და განხორციელება და გამოთქმაა თავისუფალ, ავტონომიურ ინდივიდთა, პიროვნებათა თავისუფალ კავშირის, ფედერაციისა, რომ სახალხთა შორისობა არ ეწინააღმდეგება ეროვნულ პრინციპს, რომ წინააღმდეგ ამისა ეროვნული პრინციპის შემდეგი და უშორესი განვითარება, ზრდა ინტერნაციონალიზმია, რომ საზოგადოებრივი ფორმები, ჯიშები ცვალებადნი არიან ისე, როგორც ბიოლოგიური, ზოოლოგიური ჯიშები, რომ როგორც ბიოლოგიურ ჯიშთა, მოდგმათა ცვალებადობა (დარვინიზმი) სწარმოებს ინდივიდთა ცვალებადობით, ისე მსგავსად ამისა, საზოგადოებრივი ცვლილებების წარმოებაში ინიციატივა, თაოსნობა იწყება ინდივიდიდგან პიროვნებისგან.

ისინი ვინც იცის, რომ ადამიანის პიროვნება უნდა იყოს არა თუ დაცული მთავრობის და სახელმწიფოსაგან, ბურჟუაზული კაპიტალიზმის და სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმისაგან, არამედ ის უნდა იყოს სრულებით ავტონომიური არა თუ პოლიტიკურად და ეკონომიურად, არამედ ზნეობრივადაც.

ისინი ვინც იცის, რომ თავისუფლება არის მოძრაობა ნაკლები დაბრკოლებისაკენ უსულო არსებობისათვის, ნაკლები დაბრკოლების აღმომჩენი გეოგრაფიული წრე ბიოლოგური სულდგმულისათვის და უსახელმწიფოებრივო, უმთავრობო, თავისუფალი საზოგადოებრივობა, ნაკლებად დამაბრკოლებელი წრე საზოგადოებრივი არსებობისა პიროვნებისათვის.

ვინც იცის, რომ პროგრესი არის ზრდა, განვითარება ექსტენსიური და ინტენსიური ისეთი არსებობისა, რომელიც არ უშლის ხელს სხვა განვითარებას, რადგან წინაამდეგ შემთხვევაში გამოიწვევდა მოძრაობას თავის წინააღმდეგ და მაშასადამე ძალთა გამოკლებას, დამცირებას და ამიტომ პროგრესი არის შემოკლება დროსი და სივრცის, ეკონომია დროის და სივრცის ბატონობისაგან, შეუგნელობისაგან— განთავისუფლებაა...

ისინი ვინც იცის, რომ ეკონომია არის ძალთა ნაკლები ხარჯით უმეტესად სასურველ რამეების მოპოებაა, უმეტეს ნაყოფის მისაღებათ და მაშასადამე მისით ყველაფერი მოძრაობს ნაკლები და დაბრკოლებისკენ, თავისუფლებისკენ—ის თავისუფლებაა.

ისინი, ვინც ამ პრინციპების განხორციელებას ხედავს {კერძო საკუთრების მოსპობაში და ყველა საწარმოვო იარაღების განსაზოგადოებრივებაში—კომმუნიზმში.

ისინი, ვინც ცდილობს არსებულ და აგრეთვე მომავალ სახელმწიფოებრივის მონობის დამსხვრევას და დამყარებას თავისუფალ მწარმოებელთა თავისუფალ საწარმოვო ასსოციაციებისას.

ისინი ვინც ხელს უწყობს პროლეტარიატის და ყოველგვარ მონობის წინააღმდეგ აჯანყებულთა სრულ ემანსიპაციას.

ისინი, ვინც იცის, რომ ანარხია როგორც უარისყოფა ყოველგვარ არხიის, ბატონობის, მთავრობის, არის ამავე დროს დადგინება სრული პოლიტიკური, ეკონომიური, საზოგადოებრივი, გონებრივი, ინდივიდუალური, საზოგადოებრვი თავისუფლების.

ისინი მაშასადამე, ვინც ხედავს, რომ თავისუფლება, პროგრესი, საზოგადოებრივობა, ნებიერი ასსოციაცია, თავისუფალი წარმოება, ეროვნული თავისუფალი მისწრაფება საერთაშორისობისაკენ და ანარქია არიან ნაკლები ძალის ხარჯით მეტი ნაყოფის მოპოება და ერთი მეორისაგან დაუშორებელნი.

უკანასკნელად ისინი, ვინც თავგამოდებით და გულ-წრფელად იბრძვიან თავისუფლებათა განსახორციელებლად შესაფერი საშვალებით: ვინც ხედავს, რომ რევოლიუცია არის დროს და სივრცის ეკონომია ევოლიუციაში, რომ ამიტომ როდესაც ევოლიუციაში, პროგრესი, თავისუფლების განვითარება სამთავრო მტარვალთა, პოლიტიკურ გაიძვერათა, ეკონომიურ მყლეფელთა, ზნეობრივად და გონებრივად გამთახსირებელ სარწმუნოებათა მეოხებით იქმნება დაბრკოლებული შეჩერებული თავის ბუნებრივ მსვლელობაში, მაშინ სწორედ იფეთქებს მოგროვებული ძალები სოციალური ვულკანის გულში და ამოხეთქს ის ქარიშხალი, რასაც რევოლიუცია ეწოდება, ამასთანავე რადგან იდეა ძალის გადაწყდება დაძალების და გაძალების, იძულების და აჯანყების ურთიერთობაში (въ отношеніи давленія къ сопротивленію), ამიტომ საზოგადოებრივი ნიაღვარი იმოდენად მძლავრი იქმნება თავისი მსვლელობაში; რამოდენადაც დაბრკოლება ხანგრძლივი და ვაი მათი ბრალი ვინც ამ ნიაღვარში მოყვება.

ისინი ვისაც ცხოვრების მრავალმაგალითებიდგან დაუნახავს პარლამენტარიზმის სრული უნაყოფობა, პოლიტიკური სიდამპლე, რომელშიდაც ჩააგდეს ბევრ ხნობით პროლეტარიატი, პოლიტიკური სიმტერე რევოლიუციონურ მებრძოლთა...

ისინი, ვინც შრომის და თანხის, მესაკუთრის და მისი დაქირავებულ მონების, მთავრობის და აჯანყებულთა შორის გაჩაღებულ სამკვდრო სასიცოცხლო ტიტანიურ ხანგრძლივი ბრძოლის მაგალითიდგან ხედავენ, რომ მონობისაგან განსათავისუფლებელ პირდაპირი საშვალებისთვის— რევოლიუციისთვის მოსამზადებლად არსებობს მეორე პირდაპირი საშვალება, საყოველთაო, საერთო გაფიცვა, რომელიც არის მწარმოებლის მხრით უარის თქმა აწარმოვოს არა მწარმოებელთა სასიამოვნოთ და განსაცხრომელად თავის შრომის ნაყოფი, რომელიც წარმოადგენს შეგნებულ მოქმედებას საწარმოვო ძალებისას, რომლებიც მიმართულია სოციალური ცვლილებისაკენ (переворотъ), რომელიც აერთიანებს დაყოფილ, განცალკევებულ აფეთქებას პროლეტარიატის ბრძოლისას მეპატრონეთა წინააღმდეგ.

ისინი, ვისაც შეგნებული აქვს, რომ მუშა პირდაპირი მოქმედებით თვით ჰქმნის თავის ბრძოლას, თვით მიჰყავს ის და ამასთანავე თვით იღებს გარდაწყვეტილებას თვითვე გადასწყვიტოს ეს ბრძოლა, რომ ეს პირდაპირი მოქმედება, ეს ყოველდღიური ბრძოლის პრაქტიკა დღითი დღე იზრდება და მიაღწევს იმ უმწვერვალეს თავის განვითარებას, რომელსაც „საერთო გაფიცვა“ ჰქვიან და რომელიც დასაწყისია იმ გამწვავებული ტიტანიური ბრძოლის, რომელსაც რევოლიუცია ჰქვია...

ვისაც შეუგნია ან ცდილობს შეიგნოს, რომ საყოველთაო გაფიცვის „ხერხემალი“ რევოლიუციონური სინდიკალიზმი და პროფესსიონალური კავშირებია.

ვინც ხედავს, რომ საყოველთაო გაფიცვაა სოციალური რევოლიუციის მძლავრი ფერმენტი, ხაში (дрожди) არის;

რომ თანხების და საწარმოო იარაღების მონოპოლიზაცია მეპატრონეთა ხელში აძლევს კაპიტალისტებს ისეთ ძალას, რომელიც ასუსტებს მუშების თვალში კერძო გაფიცვების მნიშვნელობას;

რომ თუ მუშაობა არაა, თანხაც არაფერი არაა;

რომ როდესაც მუშები წარმოებაზე უარს იტყვიან, მაშინ ერთი დაკვრით მოუსპობენ ძალას თავის მყვლეფელებს და მასაზრდოებელ წყაროს კაპიტალს;

რომ ყველა ამისათვის კერძო გაფიცვები აგიტაციონური და ორგანიზაციონური საშვალებაა;

ვინ არიან კაცობრიულ თავისუფლების მეგობრები?

უკანასკნელად ისინი, ვისაც მიაჩნია რომ უნდა მოისპოს ყველა ჯურის მჩაგვრელობა დ დამყარდეს მკვლელობის ცარცვა—გლეჯის მაგიერად:

თავისუფალი ასსოციაციები, რომლებიც შესდგებიან და დაიშლებიან ყოველ წუთში როდესაც წევრები ამის საჭიროებას დაინახავენ

თავისუფალი ასსოციაციები, კავშირები გონებრივ წარმოებისთვის,

თავისუფალი კავშირები საზრდოსაბადებელთა საწარმოებლად,

თავისუფალი კავშირები ესტეტიურ წარმოებისთვის,

თავისუფალი უსანქციო და უიძულებო ზნეობა,

თავისუფალი, ბუნებრივი დ მართლი ზნეობრივი კავშირი ქალსა და კაცის შორის.

ერთი სიტყვით ნამდვილი „კრატის“ და არხიას მოკლებული სოციალიზმი—ანარხია.

ვინ არიან კაცობრიული ცხოვრების და ჩაგრულთა ნამდვილი მეგობრები?

ისინი ვისაც მიაჩნია, რომ ანარქია არის საბოლოო გადაწყვეტა ყველა სოციალური კითხვების, რომლის შედეგაც დაიწყება ანკარა მუდამ მოზარდი ნაკადული სოციალისტური ცხოვრებისა...

ის, ვისაც ულვივის გულში თავისუფლებისთვის პირდაპირი და გაბედული ბრძოლის დაუშრეტელი, მუდმივი უკვდავი ალი და თავისუფლების მტერთა დამწველი.

ალი.

# ახალი ამბავი

—

ყუმბარის აღმოჩენის საქმე ამნაირათ ყოფილა. 5 ივნისს ნაშუადღევს 2½ საათზე პოლიცმეისტრის კანცელარიასთან შეამჩნიეს ვიღაც ყმაწვილი კაცი ბლიანი პარკით ხელში. პოლიციას ეჭვი მიტანია და გაუჩრეკიათ. პარკში აღმოჩნდა ყუმბარა მაკედონიის სისტემისა გამზადებული სასროლათ. ყმაწვილი კაცი დააპატიმრეს. დაპატიმრებულმა თავის თავს ვართანოვი უწოდა. პოლიციის შეკითხვაზე უთქვამს ყუმბარა ქუჩაში ვაპოვნეო.

— თავად-აზნაურთა კრებამ 5 ივნისს აირჩია მაზრის და გუბერნიის წინამძღოლები. თბილისის მაზრის წინმძღოლათ არჩეულ იქნა პ. ი. თუმანოვი, დუშეთის—ზ. ე. ერისთავი; გორის—ნ. ა. თუმანოვი, თელავის და თიონეთის მ. ზ. ჭავჭავაძე, სიღნაღის—ჩოლოყაშვილი, ბორჩალოს—ასან-ბეგ ედიგაროვი.

გუბერნიის წინამძღოლად კი ხმის უმეტესობით, 108 თეთრი კენჭით წინააღმდეგ 63 შავის. ბაქო არჩეულ იქმნა გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი.

— 5 ივნისს საღამოს 5 საათზედ მიხეილის ქუჩაზედ „კახეთის“ მევენახეთა საზოგადოების მაღაზიაში შევარდნენ ვიღაც უცნობნი და იქ მყოფ ბუხგალტერს თავ. ზ. ვაჩნაძეს კასიდან წაართეს უკანასკნელი 12 მანეთი.

— 5 ივნისს ღამის 1 საათზედ ვიღაც უცნობმა იმავ უბნის მეეზოვეს ორჯელ ესროლეს რევოლვერი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოარტყეს.

— კვირას, ვარლამ ჩერქეზიშვილის წაკითხულ ლექციის მთელი შემოსავალი, 40 მანეთი, მომავალ სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ შესწირა.

— ამ დღეებში ტფ. ოლქის სასამართლომ განსახილველად მიიღო საქმე გორის მაზრის მცხოვრების გიორგი ზაალის ძის მაჩაბლისა. მაჩაბელს ჰბრალდება სხვებთან ერთად 1905 წელს 16 დეკემბერს ტყვიავის დარაჯთა სადგომზე თავდასხმა და სამ დარაჯისთვის იარაღის წართმევა. ჰბრალდება აგრეთვე დარაჯის ფასასტაშვილას ცემა. გიორგი მაჩაბელი სოხუმში დააპატიმრეს და შემდეგ მეტეხის ციხეში ჩასვეს.

— დახურეს გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გაზ. „ხოდიტე ვსვეტე“. რედაქტორს [...]რალ-გუბერნატორმა გადაუწ[...] ჯერ მეტეხში დაპატიმრება, მე[...] თბილისის საგენერალ-გუბერნ[...] როდან ეტაპით გაგზავნა. და[...] აგრეთვე სტამბა „შრომა“ ს[...] ზემოხსენებული გაზეთი იბეჭ[...]და. ამის გამო გუშინ და გუშინ[...] არ გამოსულა აგრეთვე გაზეთი „[...]პარი“ რომელიც ამავე სტამბაში [...]დებოდა.

# რუსეთის ქრონი[...]

—

უარის თქმა. როგორც პეტერ[...]გიდან გადმოგვცემენ უმთავრეს[...] პყრობილეების მართველობა ძალ[...] დაღონებულია იმ მდგომარეო[...] რომ ამ უკანასკნელ ხანს ბევრ [...] ყრობილეებში ზედამხედველები [...] აცხადებენ თავიანთ თანამდებო[...] და ხშირადაც სტოვებენ თავ[...] ადგილებს. სჩანს საპყრობილე[...] გულით გაქვავებულ ცერბერებ[...]კი უგრძვნიათ სიმართლე და სი[...] ერე „კრომოლნიკების“ პროპო[...]დისა.

—

ყურის-მდგებელი კომისია. სამხ[...]რო სამინისტრომ არეულობის [...] შირების გამო სამხედრო ჯარის [...] წილებში დაარსა განსაკუთრებ[...] ყურის-მგდებელი კომისია, რომ[...] წევრები გამოიკვლევენ არეულო[...]ბის მიზეზებს.

—

მთავრობის უბედურება. სამინი[...]როს მოზდის განცხადებები [...] ჭმელ სანოვაგის ნაკლებულ[...]

# ფელეტონი

—

„მ უ შ ა ს“

მუშავ მედგარო!.. ხმა აღიმაღლე,
დაჰკარ ნაღარა, მორთე ყიჟინა,
მკვდარ არე-მარეს შთაბერე სული,
და შეუპოვრად გასწიე წინა.

—

უსამართლობას ფარდა ახადე,
დაჰგმე, გაჰკიცხე მისი გაჩენა,
ბოლო მოუღე მტარვალთა ძალას,
და დაუდუნე ბოროტი ენა.

—

დაჰკარ ნაღარა და იდადადე,
თავისუფლება და სიყვარული,
ნათელი დასდე წყვდიად-საბნელეს,
გამოაფხიზლე მუშა ჩაგრული...

მიტია ებრალიძე.

## ინტერნაციონალის წინამორბედნი.

ამერიკაში, მონების განთავისუფლებისთვის მომხდარმა ომმა (1861—1864 წ.) უჩვენა ბებერ მონარქისტულ ევროპას, თუ რა შეუძლია ავტონომიურ ხალხს, რომელიც გამხნევებულია დიადი და კეთილშობილი იდეით და აი პრეზიდენტ-მუშამ, აბრამ ლინკოლნმა, რომელსაც თანამოქალაქენი და ზანგები უძახდენ „ბიძა აბ“-ს, მისცა განსაკუთრებული მაგალითი, რომლითაც ცხადჰყო, რომ შესაძლებელია ადამიანი პრეზიდენტი იყოს*) და მიუხედავად ამისა დარჩეს წყნარი, სადე და პატიოსანი, რაც წინააღმდეგი იყო საფრანგეთის რესპუბლიკანური ჩვეულების. ინგლისი მეტად ლიბერალური მისწრაფებით იყო გამსჭვალული. ტრედ-უნიონები, ლოდი შავტებიური, კინგსლეი, დიკენსი, ჯ. ს. მილლი და ბევრი სხვა თხოულობდენ რეფორმებს; ინგლისის საზოგადოება ძხარს უჭერდა მაძინის და გარიბალდის; სახელმწიფოს მინისტრმა სტახფილდმა დაუთმო თავისი სახლი მეთქმულ მაძინის და როდესაც, 1864 წელში გარიბალდი მოვიდა ლონდონში, მაშინ ხალხმა ისეთი მანიფესტაცია მოახდინა ამ უკანასკნელის სიმპატიით, რომლის მსგავსი არ ყოფილა ინგლისში თვით ნაციონალურ გმირების პატივსაცემლადაც.

ამ დროს გერმანიაც გამოღვიძებული იყო ლასსალის ენერგიულ აგიტაციით, ლასსალის რომელიც ერთ-და იმავე დროს თავისი ბრწყინვალე პიროვნებით იყო სახალხო ორატორი, გაბედული რევოლიუციონერი და პირველ ხარისხოვანი მეცნიერიც. ლიბერალური და დემოკრატიული გერმანია აღტაცებით უყურებდა მას, გერმანელი მუშა ეწყობოდა სოციალური რეფორმის დროშის გარეშემო, რომელიც ხელში ასეთ აგიტატორს ეჭირა.

ასეთი იყო დრო, როდესაც ფრანგ მუშებმა განიზრახეს დიადი ასოციაციის იდეა. მოძრაობა არ იყო სოციალისტური. მაგრამ ამ ომებმა დაუმოკიდებლობისათვის აგიტაციამ ემანსიპციისათვის, განთავისუფლებისათვის და სოციალური რეფორმებისათვის გამოაღვიძეს საზოგადოებრივი შეგნება. დიდი ქალაქების მუშები მზად იყვნენ სოლიდარული მოქმედებისათვის; აგრეთვე როდესაც ასსოციაცია, ეს „ბავშვი პარიზის სახელოსნოებში დაბადებული, იქმნა მიბარებული ძიძას ინგლისში[...] მას მხოლოდ ინგლისელები არ [...]ვედრიან უხვი ალტაცებით.

### II

### სოციალიზმის წინასწარი მა[...]ტივები (ფორმულები).

გადამეტება იქმნებოდა, რო[...] უზარმაზარი წარმატება ინტერნ[...]ციონალის განსაკუთრებით იმ სა[...]ზოგადო მდგომარეობას მივაწეროთ, რომელიც იმ დროის ევროპის სა[...]ზოგადო წარმოადგენას შეადგენდა, რომ ინტერნაციონალი ძალიან [...] სახით იჩენდა თავს 1860—187[...] წლამდი, უეჭველია, ჟენევის კონ[...]ვენცია, ორგანიზაცია „წითელი ჯვრის“ საზოგადოების, „სახალხთაშორისო კავშირის პროსტიტუციის მოსასპობათ“... და განსაკუთრებით ის ლტოლვილება, რომელიც მაშინ მეცხიერულმა კონგრესებმა გამოიჩინეს, უცილობელი საბუთია ამის. მაგრამ არც ერთ საზოგადოებას, არც ერთ დაწყებულ საქმეს ამ დროებისას არ გაუვლია [...]ხმა და არა ჰქონია ისეთი გავლენ[...], როგორიც დიად ასსოციაციას ძ[...]კლე სამი წლის განმავლობაში, 1866-გან 1869-მდი.

მისი წარმატება და გავლენა უნ[...]

---

*) რა განსხვავებაა შედარებით ელისეის პოლიტიკურ მეტი-ჩარებთან! ერთხელ ერთმა დიპლომატმა მოასწრო ლინკონსი, რომელსაც ხელში ეჭირა დასვრილ ქაღალდზედ დაწერილი ანგარიში. როდესაც ლინკოლნს დიპლომატმა ჰკითხა, რომ რა ხასიათის იყო ეს დოკუმენტი, პრეზიდენტმა უპასუხა თავის ჩვეულებრივი სისწორით, რომ ეს ქაღალდი იყო მისი მეგობარი სამის (სამი სამიკიტნოს მოსამსახურე იყო) ანგარიშის ქაღალდი, რომელმაც სთხოვა მას გაესწორებია ეს ანგარიში.

ზე ბ. ბ. რედიგერები და ვერც მისი მზგავსნი ვერ ჩაანელებენ კაზარმებში ალივით მოდებულ განთავისუფლების მოძრაობას, რაშიაც დარწმუნებულნი არიან თვით მთავრობის მაღალ წრეების პირები და ყურის-მგდებელი კომისიის დაფუძნება-კი არის ის ხავსი, რომელსაც ეჭიდება მთავრობა.

—

სიკვდილით დასჯის შესახებ. პეტერგოფში სამხედრო, საზღვაო და შინაგან საქმეთა სამინისტროების იუსტიციის წარმომადგენლების თანადასწრებით შეთქმაა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ. ცხადია, რომ მთავრობა არა ცდილობს თავის მძლავრ არგუმენტების ასე ჩქარა განშორებას, პირიქით მისი გაუმაძღარი სურვილები იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება დაუბოლავებელი გახადოს თავის არსებობის დღენი.

# კორრესპონდენცია.

—

## წერილი რედაქციის მიმართ.

ქიათურიდგან.

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენ გაზეთში შემდეგი წერილი: მგონია მეათე დღეა, რაც თქვენ მიერ გამოცემული გაზეთი „ხმა“ მოგვდის აქ და ქიათურაშიდ ბერიძის სახელზედ. წინედ ამ ახალ გაზეთს მეტი გრძნობით ეკიდებოდა ხალხი და სურდათ გაეგოთ, რა მიმართულებისა იყო. საუბედუროდ გაიგეს აქაურმა სოც. დემოკრატებმა და მათმა მოტრფიალეებმა, რომ ეს გაზეთი ეკუთვნოდა ანარქისტებს. ამიტომ, რასაკვირველია, მრავალი ცუდი ხმები გაავრცელეს ს. დემოკრატებმა გაზ. „ხმაზედ“ ვინ იცის, რას არ ჩასჩურჩულებენ ხალხს ანარქისტების წინააღმდეგ. უნდათ, რომ სულ ზიზღი გამოუცხადოს ხალხმა ამ საუკეთესო გაზეთს. მე თვითონ, როგორც უსაქმოდ დარჩენილმა მუშა, ვიდევი თავზედ გამეყიდა გაზეთი ,,ხმა‘‘ და გამევრცელებინა ხალხშიდ, მეც დაინტერესებული ვიყავი გამეგო, როგორი იყო თქვენი შეხედულება დღევანდელ მოძრაობაზედ და აგრეთვე მსურდა და მსურს კიდევაც გავიგო კარგად თქვენი მიზანი როგორია, ან როგორი გზით მიდიხართ იმ საბოლოვო მიზნისკენ, საითაც ყველა სოციალისტური პარტიები მიილტვიან *). დღემდე ხალხი ამ ახალ გაზეთის შესახებ არას ამბობდა, მაგრამ როდესაც ს. დ-ბმა გაავრცელეს სხვა და სხვა საზიზღარი ხმები ამ გაზეთზედ, იმას მერმედ თითქმის ეშინიათ ამ გაზეთის ყიდვა. როცა გაბედავენ ყიდვას და კითხულობენ, ხელები უკანკალებთ შიშით, რომ ს. დემოკრატებმა არ დამინახოსო. ასთე რომ როცა მოდიან ჩემთან საყიდლად სამ ოთხ საქენზედ მევაჭრებიან, ასთე გონიათ, რომ ეს რაღაც უცნაური გაზეთიაო, თითქმის მთავრობის არ ეშინიათ ხალხს დღეს ისე, როგორც ს. დემოკრატების ამას წინად ე. ი. 19 მაისს, როდესაც გაზეთი „ხმა‘‘ გასაყიდათ მიმქონდა ბაზრისკენ, ერთმა მეწაღემ დამიძახა: მოიტა გაზეთი, თუ ყიდიო. რასაკვირველია, მეც ავასრულე მისი სურვილი და მიველი მეგონა გაზეთს იყიდდა, ამ დროს მეორემ უთხრა: არ გაგიწყრეს ღმერთი, არ იყიდო ეს გაზეთი თორემ ამ ქიათურაშიდ არ გაგაჩერებთო (**), და იმ მყიდველმა, რომელმაც დამიძახა. რასაკვირველია, შიშით თავი დაანება ყიდვას და მითხრა წადი ძმავ, წადი! თუ ამნაირი გაზეთია, რატომ ატარებ გასასყიდათო. რასაკვირველია რომ არ გამომესწრო ძალიახს მომაყოლებდნენ გვერდებშიდ ქვას, მაგრამ გამოვასწარი. მე მხოლოდ გავჩუმდი რა უნდა მეთქვა უგნურისთვის, როცა არ იცოდა, რას ყბედობდა. ყურიც არ მიგდია იმის ლაპარიკისთვიო, გამოუდექი გზას ჩემი გაზეთებით, წაველი მუშების იაფ-ფასიან სასადილოსკენ. შეველი სასადილოშიდ და მივმართე ხუმრობით ბნ. სასადილოს კასირს ს.-დ-ს. იყიდე ეს ახალი გაზეთი იქო! მან ჯერ გამომართვა ხელიდგან ეს გაზეთი და წაიკითხა კორესპოდენცია (ენას ძვალი არა აქვს), რომელიც იყო მოთავსებული № 7-შიდ. როცა ის ამოიკითხა, გაბრაზებულმა გაზეთი ხელშიდ მომცა და ასთე მითხრა მოშორდი აქედგანაო. ვიყიდო კი არა, ტყვილად, რომ დატოვო, არ მინდაო. მე უთხარ რატომ! რა დაუშავებია ამისთანა, რომ, ასე უცქერით ამ გაზეთს თქო. თუმცალა სულმთლად არც მე ვეთანხმები ჯერჯერობით ამ გაზეთს, მაგრამ გასასყიდათ ვატარებ აქო. და შენ რა გაწყენინა ამდენი, რომ წაკითხვაც გეზარებათქო. მაგრამ ბ-ნმა კასსირმა, გაჯავრებული რაღაც წაილაპარაკა: მე არ მსურს ეს გაზეთი და არც წევიკითხამო, რადგან მე მაქვს ჩემი გაზეთი სახ. ,,ლამპარი‘‘ მე უთხარ: ნუ თუ, არ შეიძლება ყველა გაზეთები წაიკითხოს კაცმა და გაიგოს, რომელი, რომელ გზას ადგანა ხალხის საკეთილდღეოთ? ნუ თუ მოაკლდება თქვენ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს მის წაკითხვით რამე თქო? მაგრამ პასუხად ეს მითხრა: მე ჩემი გაზეთი ყველაფერს მეუბნება, ვინ რა გზას ადგანა და ვინ როგორ ემსახურება ხალხის კეთილდღეობასო, ამისათვის მე ჩემს გაზეთს უჯერებ და არა სხვა და სხვა პარტიების ჩურჩულსაო. წარმოიდგინეთ თქვენ, ამას მეუბნება ის სოციალ-დემოკრატი, რომელიც ცოტად თუ ბევრად შეგნებული სოციალ-დემოკრატია. ეხლა-კი რა უნდა დავიჯერო, შეგნებულმა მუშამ, რა უნდა თქვას ამ გაზეთზედ, სადაც იმ ვაჟბატონმა ეს სთქვა. არ წევიკითხამო! ნეტავი გამაგებია რას ფიქრობენ ეს ვაჟბატონები, ასთე რომ

*) ჩვენთვის მაგალითად ერთად ერთი სოციალისტური მიზანია, ე. ი. ანარქისტული, სოც.-დემოკრატია კი მიგვაჩნია ბურჟუაზიულ უკიდურეს განვითარებით სოციალიზმი საზოგადოებრივობაა და ს.-დემ. კი სახელმწიფოს მოტრფიალეა, ისიც ცენტრალისტურის, სახელმწიფო-კი სოციალიზმის, საზოგადოებრიობის უარის ყოფაა, მაშასადამე ს.-დემოკრატია სოციალიზმის უარის ყოფაა—სოც.-დემოკრატია ბურჟუაზიული პარტიაა. (რედაქ. შენიშვნა).

**) როგორც ჩანს სოც.-დემოკრატიას ძლიერ მოსწონებია მთავრობის მიერ ადმინისტრატიული გადასახადების პრინციპი (შენ. რედ.)

---

და მივაწეროთ საკვირველ გამოთქმას სტატუტების გახილვებისა, პრინციპებისა და სურვილებისა (desiderata) ყველა უჩინდელ ცნობილ სოციალისტურ სკოლებისა, ხალხური და რევოლიუციონური მოთხოვნილებებისა, რომლებიც რეფორმათა, დიდ რევოლიუციის და 1848 წლის რევოლიუციის დროს იყვნენ განმარტული.

ხალხი ყოველთვის კაცური მოქმედების უმაღლეს მიზნათ თვლის კაცობრიობისთვის სასარგებლო რამეების წარმოებას და მეტათ თუ ნაკლებად სრულ თანასწორობის განხორციელებას ცხოვრებაში. ყოველთვის, როდესაც მასსა აჯახყდებოდა მჩაგვრელთა და მკვლეფელთა წინააღმდეგ, განმარტოვდა ბოლომდე დაახლოვებით იმავე სიტყვებით ამ საუკუნოებრივს მისწრაფებას: თავისუფლება ყველასთვის, თანასწორობა კეთილდღეობათა მოხმარებაში. იქნებიან ესენი უვიცი მეთევზეები გალილეისა, თუ გუსსიტები ტაბორის, ამ გერმანიაში თომა მიუნცერთან ერთად აჯანყებული გლეხები, ან რუსეთში სტენკა რაზინთან აჯანყებული გლეხები, სულ ერთია მოთხოვნები ყოველთვის ერთი და იგივე დარჩებიან.

მიწა და მისი სიმდიდრე ყველას, მოსპობა კაცის მიერ კაცის გაყვლეფისა, თავისუფლება ინდივიდუალურ, თავისუფალ კომმუნაში. „ცის ფრინველები, ტყის ნადირები, თევზები წყალში თავისუფლები არიან და „ყველასთვის“, ამბობდენ გერმანელი გლეხები; „მიწა და თავისუფლება ყველასთვის“ უმატებდნენ ამას რუსი გლეხები. როდესაც ისინი ამბობდენ „ყველასთვის“, ისინი გულისხმობდნენ კომმუნიზმს.

ანაბაპტისტებმა და თომა მიუნცერმა, რომლებმაც გამოთქვეს ნამდვილი ხალხური მისწრაფება გერმანიაში გლეხების ომის დროს, დაგვიტოვეს ჩვენ თავიანთი „მრწამსი“. სოციალისტური მოთხოვნები ამაში უფრო უკეთ იყვნენ გამოთქმული ვინემ ჩვენი დროის „მეცნიერულ“ სოციალისტების საარჩევნო მანიფესტში. თუ ამ მრწამსის სარწმუნოებრივ მხარეს დავტოვებთ, ჩვენ ვნახავთ, რომ ანაბაპტისტები უარჰყოფდნენ ყველა პრივილეგიას, ყველა ავტორიტეტს, ქადაგებდენ საზოგადოებრივ თანასწორობას, ლიბერტელურ (თავისუფლებრივი, СВОБОДОВАЛЬНЫЙ) კომმუნიზმს.

,,არ არის მღვდლები,—ვკითხულობთ პირველ პარაგრაფში—არც როგორც თემი, არც როგორ სექტა. ყველა კაცი შეიძლება აღორძინდეს ღვთის შთაგონებით და შეასრულოს მღვდლის მსახურება თავისი მაგალითით.

§ 4. როდესაც სული აღორძინებს სხეულს, მაშინ ყველამ ერთად უნდა იცხოვროს, ქონებათა სრულ ერთობაში.

§ 6. არავითარი თაყვანება (კულტი) ცერემონიალური... ადამიანმა თავის თავი უნდა აცხოვროს თავისი ხელობის მუშაობით...

§ 8. არც ერთ ანაბაპტისტს არ შეუძლია ან თვითონ ან სხვას დაანებოს მისი თავის ძალად მართვა. მისი მეუფება არის ღვთის მეუფება. სიკვდილი სჯობია, რომ მონობა განიცადო ან სხვას განაცდიო *).

ეს სიმბოლო სარწმუნოების, როგორც ჩანს, არის წმინდად კომუნისტური და თითქმის ანარხისტულიც.

ამის მსგავსი მოთხოვნები განმარტეს ინგლისში რევოლიუციონერ რეფორმატორებმა. ინგლისის „ანაბაპტისტები‘‘ ცნობილი არიან ,,Lesveller‘‘ ესე იგი გამათანასწორებელნი) და ,,Diggers‘‘ ე. ი. გამომთხრელები) მეტ სახელით, იმიტომ რომ ისინი უარყოფდნენ მონობის და ბარბაროსობის მომხრე საზოგადოების „საფუძველს. ისინი აცხადებენ, რომ მიწის მფლობელები“ არიან ქურდები და მკვლელებიო“, რომ მუშამ ქირით არ უნდა იმუშავოსო“, რომ „კერძო საკუთრება უნდა მოისპოსო“, რომ „მიწა უნდა იქმნას ცნობილი ყველას საკუთრებათ“, და ის მრავალ რიცხოვანი მასსა, რომელიც მათ მიყვებოდა, იმეორებდა როგორც საბუთს ძველ თქმულებას აჯანყებულ გლეხებისას (1831): „როდესაც ადამი ბარავდა და ევა ართავდა, ვინ იყო მაშინ აზნაური?“

სამართლისკენ და საზოგადოებრივი თანასწორობისკენ სახალხო მისწრაფებანი, რომლებიც ასე კარგათ იყვნენ განმარტულ რეფორმის ომების და ინგლისის რევოლიუციის დროს, დაახრჩვეს აჯანყებულთა სისხლში. მთელი ას-ორმოც-და ათი წლის განმავლობაში, საფრანგეთის დიდ რევოლიუციამდე, არავითარ მსგავს მოვლენას არ ჰქონია ადგილი ევროპაში. არის ერთი რამ შე-

*) ალექსანდრე ვეილლი, ისტორია ანაბაბდისტების იმისა, პარიზი, 1874, გვ. 92, 94.

იქცევიან, ნეტავი დამარწმუნებლნენ ისინი, რა სარგებლობას მოუტანებენ იმ ხალხს რომლებიც მათი იმედით მიდიან. მე კი ჩემი მხრიდან მოუწოდებ ყველა შეგნებულ და შეუგნებელ მუშებს, რომ ნუ ავყვებით ფეხის ხმას, ნუ ავყვებით უსაბუთო ლამაზ-ლამაზ სიტყვებით ნუ მოგვატყუებს ჭრელ-ჭრელი ლოზუნგები, ნუ გაუხდებით სათამაშო ნივთად რომელიმე ჯგუფის, ნუ ვათამაშებთ ჩვენ ჭკუა-გონებას სხვის ახმაურობაზედ, არამედ ჩვენ თვითონ მუშებმა კარგად დავფიქრდეთ, კარგად ვეძიოთ უკეთესი გზა, რომ დაღვრილი უმანკო სისხლი არ გაიაროს ტყუილად, რომ უზარმაზარი მსხვერპლი პროლეტარიატისა არ გაქრეს უფასოდ. ამისათვის საჭიროა ამხანაგებო! ჩვენი ჭკუა-გონებით გზის გამონახვა, საჭიროა წავიკითხოთ ყოველ ნაირი გაზეთები და ჟურნალები, გავიგოთ ყველა გაზეთების შეხედულება, და არა ერთის. მოუწოდებ ყველა მუშებს და აგრეთვე მთელ ხალხს ნუ აიგდებენ აბუჩად ამა თუ იმ „პარტიას“, გაზეთს, საჭიროა წაიკითხოთ ყველა, საჭიროა გავიგოთ ყველა პარტიის ავ-კარგი, რომელი, რომელ გზას ადგანან. დღეს ამის ნაცვლად რას ვხედავთ იმის მაგივრად რამე წავიკითხოთ და გავიგოთ ყველა გაზეთების და „პარტიების“ აზრი, ჩვენ გამოვსულვართ და გავიძახით, არა, არ გვსურს სხვა გაზეთები მარტო მხოლოდ სოც.-დემოკრატიას მოუსმინოთ „ლამპრის“, მუშათა პარტიისათ, საიდგან დავრწმუნდეთ ამხანაგებო! რომ „ლამპარი“, მუშათა პარტიაა, საიდგან დავრწმუნდეთ, რომ სოც.-დემოკრატია მუშათა პარტიაა თუ არ წავიკითხამთ ყველას და თუ არ გავიგებთ ყველა „პარტიებს არ დავრწმუნდებით ერთი მეორის შედარებით. ნუ თუ იმითი გადაწყდება და გამოირკვევა ამა თუ იმ პარტიის მუშათა პარტიობა, რომ ლამაზი სიტყვებით და ფრაზებით აჭრელონ გაზეთი? თქვენ ყველამ კარგად უნდა იცოდეთ, მარტო უსაბუთო სიტყვების რახა-რუხით არაფერი გაკეთებულა და არც გაკეთდება, ამისათვის ჩვენ, ვიმეორებ კიდევ, კრიტიკული თვალით შევხედოთ და მოვისმინოთ ამა თუ იმ ჯგუფის ანუ პარტიის აზრი, რომ, საბოლოვოდ გამოვარკვიოთ, რომელი ჯგუფი ანუ პარტია უმეტრო მტკიცედ და ერთგულად ემსახურება ხალხის კეთილდღეობას, რომელთ უჩვენებს ხალხს სრულ განმანთავისუფლებელ გზას და რომელი არა. მაშ მუშებო! მხოლოდ მუშებო! ვიქონიოთ მსჯელობა, მოვნახოთ გარკვეული გზა ჩვენი წმიდათა-წმიდა მიზნისათვინ რომელსაც ეწოდება სოზიალიზმი. მაშ დროა დავადგეთ გზის კვლევას მაშ დროა გადაწყვეტით დავძახოთ გარკვეულ გზას კიჟინა და იერიშით მივიდეთ ჩვენ მტრებზედ კაპიტალისტებზედ. ნუ დაღვრით ისე სისხლს, თუ იმის ფასი არაფერი იქნება, ნუ დაღვრით ისე სისხლს, თუკიდევ ბატონები გვეყოლება, ნუ დავღვრით ისე სისხლს, თუ კიდევ დაჩაგრული ვიქნებით კაპიტალისტებიდგან, ნუ დავღრით ისე სისხლს თუ კიდევ გაუკაფველი დაგვრჩება ეკლიანი გზა: კმარა რაც სისხლი დეიღვარა, უნაყოფოდ საკმარისია და კიდევაც შეიძლება სისხლს სისხლი მიემატოს მხოლოდ ნაყოფიერად და ამისათვინ. სისხლის ფასი ნუ დაგავიწყდებათ ამხანაგებო! პროლეტარიატის სისხლის ღირებულება, ფასი თავისუფლება და სოციალიზმია და არა სახელმწიფოებრივი სოც.-დემოკრატიული, ეგრედ წოდებული სოციალიზმი არ გადავცდეთ გზას, არ დავკარგოდ ჩვენ მიერ დანთხეული სისხლი, ბურჟუაზიის სისხლის-ფულის-გასამრავლებლად, ვეძიოთ სწორი გზა. გაუმარჯოს იმ ადამიანებს რომლებიც მართლა გულით ეკიდება ხალხის კეთილ დღეობას და რომლებიც მართლა ხელს უწყობს და ემსახურება, ან თავისუფლების ხალხს. ყოველივე დაჩაგვრისაგან.

მუშა პ. გუჯაშიძე.

—

ამხანაგო რედაქტორო!

თუმც შეიძლება ეს დაბეჭდეთ თქვენ გაზეთ „ხმაში“, თუ რაიმე თქვენც შეგიძლიათ შეასწოროთ თუ რამე ნაკლულოვანება აქვს. მე, როგორც უსწავლელი მუშა ბევრი ვეცადე უმეტრო ლამაზად გამომეთქვა ჩემი აზრი, მაგრამ სწავლა არ მაქვს იმდენი, რომ შევსძლო. ამისათვის იმედია მდაბიო ხალხსაც ყურადღებას მიაქცევთ და ჭეშმარიტად მრწამს, რომ აქცევთ ყურადღებას. დასაბრკოლებელი მიზეზი არ იქნება. ამისათვინ იხილოს წემი წერილი თქვენ გაზეთმაც*).

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშები სააგენტო).

—

**კოზელაიკი**. ეწყობა პროფესიონალური კავშირი ნოქრების და სხვა ხელოსნებისა.

**ჩერკასი**. დ. გოროდიშჩში მოხდა შეტაკება გლეხთა და ინგუშებთა შორის. ორივე მხარეს არიან დაჭრილნი.

**ლოდზი**. მუშათა გაფიცვების გამო აფთიაქის საწყობები დაკეტილია.

**პროსკუროვი**. ღამით სინაგოგაში პოლიცია თავს დაესხა ბუნდისტთა კრებას. ასტყდა სროლა. არავინ დაშავებულა, დატყვევებულია 30.

**ნიჟნე ტაგილსკი**. ნიკოლაევსკის საპყრობილიდან გაანთავისუფლეს პოლიტიკური დამნაშავეები ვოლკოვა და პროტოვსკი.

**სარატოვი**. დაიწყო გაფიცვა მაშინიბილთ მუშებისა.

**ბელოსტოკი**. ფაბრიკები არ მუშაობენ; მაღაზიები დახურულია; [illegible]. პირველი სამრეწველო საქონლის შოვნაც ძნელია. სამი [illegible] მცხოვრებთ ქალაქიდან გაიქცა. ნაძარცვი ქონება [illegible] პატრონებს.

**ვილნო**. მოვიდნენ ბელოსტოკიდან გადმოხვეწილნი. ურიების ოჯახებთან იძიბინ თავშესაფარს. ურიათა საზოგადოებანი შემოწირულებას ჰკრეფს.

**კრონშტატი** 5 ივნისი. მიუხედავად გავრცელებულ ხმებისა, ქალაქში და ნავთ-სადგურში სრული სიმშვიდეა.

**მოსკოვი**. 5 ივნისი. მოსკოვის მიდამოებში იმართება მუშათა მიტინგებზე ორატორები იწვევენ მუშებს მასსიურ ბრძოლისათვის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. როგორც სჩანს საერთო პოლიტიკურ გაფიცვისთვის აგიტაცია მოსკოვის რაიონის მუშათა შორის ფეხს ვერ იკიდებს და ამიტომ უკიდურეს პარტიების წარმომადგენლები სცდილობენ დაიყოლიონ მუშები ეკონომიურ გაფიცვებზე მიზნით, რომ მერე გამოიწვიონ დიდი მუშათა მოძრაობა. კავშირთა კავშირის რწმუნებულნი შეუძლოთ სცნობენ მოქმედების განგრძობას. მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან იტყობინებიან, რო გუბერნატორებმა მიიღეს შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი, რომლითაც ევალებათ ენერგიული ზომების მიღება, ყოველგვარ ებრაელების იქნება აგრარული თუ სხვა აწიოკების წინააღმდეგ.

**ბელოსტოკი**, 5 ივნ. დღეს დაასაფლავეს 72 მოკლული. ქალაქში სიმშვიდეა, მაღაზიები და ქარხნები დაკეტილია.

**ელეცი**, 5 ივნ. გუშინ თვით გასამართლების შემთხვევა იყო. ბრბოსაგან მოკლულია ორი ძმა რომელთაც გაცარცვეს და მოჰკლეს ორი მცხოვრები, მერე გაცხარებულმა ბრბომ დაწვა მათი სახლები და ნება არ მისცა გაექროთ.

*) ჩვენ მზად ვართ დაუთმოთ ჩვენი გაზეთის პატარა კოლონები მუშის, მწარმოებლის მიერ გამოცხადებულ პროტესტს მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამით ხელი შევუწყოთ მუშების დიად ბრძოლას სახელმწიფოსა და კაპიტალის წინააღმდეგ.

---

სანიშნავი, სახელდობრის, რომ თვით დიდი სახელის მქონი მწერლები, რომლებიც თომა მორუსის შემდეგ იკვლევდენ სოციალურ კითხვებს რევოლიუციის წინახანებში, ვერ ახერხებდენ წარმოედგინათ ისეთი საზოგადოება, როგორსაც თხოულობდენ. ანაბაპტისტები, „გამათანასწორებელნი“, თომა მიუნცერი და სხვები. ვერც მაბლიმ და ვერც რუსსომ ვერ მიაღწიეს ისეთ კონკრეტულ და ნათელ წარმოდგენას თავისუფალი სოლიდარულ და კომმუნისტურ საზოგადოებისას, საზოგადოებისას, რომლის საზოგადოებრივ ეთიკის საფუძვლად ჩაწერილი ყოფილიყოს, რომ „არავის არ შეუძლია არც მართოს სხვა და არც სხვას ამართვიოს თავი ძალით“.

საჭირო შეიქმნა, რომ ხალხი აჯანყებულიყო მონობის და ჩაგვრის წინააღმდეგ, რომ მას დაემხო ძველი წეს-წყობილება და შესაძლებელი გეხადა პატიოსან კაცებისთვის სოციალური კითხვის ხელახლა დასმა.

ეჭვი არაა, რომ ყველა ჩვენმა მკითხველმა იცის ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც ითამაშა დიდი რევოლიუციის წინ და თვით რევოლიუციის დროს ხალხურმა თაოსნობამ. ხალხი ანადგურებდა მებატონების მამულებს (octroi—УДѢЛЪ) აძევებდა ხარჯის ამკრებლებს, სწვავდა ბატონების სასახლეებს. სანამ მონმორანსი, ალ. ლამე და სხვები, 4 აგვისტოს ღამე, უარს იტყოდენ თავიანთ მებატონეობის პრივილეგიებზე, „თვითმპყრობელმა“ ხალხმა, როგორც მაშინ უძახოდენ „დასწვა მათი სასახლეები და საბუთის ქაღალდები. არ ერიდებოდა ხალხი აგრეთვე ბურჟუაზიის მტაცებლობასაც, რომლებსაც ჰკიდებდა „ფანარზე“, როგორც მაგალითად ფლესსელლი, ქალაქის თავი პარიზში. ხალხი ანგრევდა ტახტს, აქცევდა ბასტილიას, ექსპროპრიაციას უშვრებოდა აზნაურობას და ეკლესიას და ესალმებოდა რესპუბლიკას, ამ მარიანას, რომელსაც უნდა განეხორციელებინა მისი ოცნება საზოგადოებრივი სამართლიანობისა და მოქალაქეობრივი თავისუფლებისა, ამ გვარადვე რესპუბლიკამ თავის დევიზად აღიარა: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“ და ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში იცნეს წმინდა უფლება აჯანყებისა.

კახელი.

---

რედაქტორ-გამომცემელი

მიხეილ ლიასამიძე

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა, სახ. № 3.